

შპს საგიტარიუსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2021 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----	7-17

შპს საგიტარიუსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	90,061	16,623
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები	4	244,861	116,717
მარაგები	5	57,180	57,110
ძირითადი საშუალებები	6	1,213,076	971,919
არამატერიალური აქტივები	7	6,645	8,817
სულ აქტივები		1,611,823	1,171,186
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	260,968	189,107
საგადასახადო ვალდებულებები		31,022	23,677
მოკლევადიანი სესხები	9	136,294	81,915
ანარიცხები		-	18,567
გრძელვადიანი სესხები	9	899,044	686,119
სულ ვალდებულება		1,327,328	999,385
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		282,495	169,801
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		284,495	171,801
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,611,823	1,171,186

დირექტორები:

ეკატერინე გვარიშვილი

ელიდა ხვედელიძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია ლორთქიფანიძე

შპს საგიტარიუსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	90,061	16,623
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა	4	244,861	116,717
მოთხოვნები	5	57,180	57,110
მარაგები	6	1,213,076	971,919
ძირითადი საშუალებები	7	6,645	8,817
არამატერიალური აქტივები		1,611,823	1,171,186
სულ აქტივები			
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	260,968	189,107
საგადასახადო ვალდებულებები		31,022	23,677
მოკლევადიანი სესხები	9	136,294	81,915
ანარიცხები		-	18,567
გრძელვადიანი სესხები	9	899,044	686,119
სულ ვალდებულება		1,327,328	999,385
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		282,495	169,801
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		284,495	171,801
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,611,823	1,171,186

დირექტორები:

მთავარი ბუღალტერი:

ეკატერინე გვარიშვილი *ე. გვარიშვილი* ლია ლორთქიფანიძე

ელიდა ხვედელიძე *ე. ხვედელიძე*



შპს საგიტარიუსი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის
დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	10	2,078,916	1,695,069
თვითღირებულება	11	(1,462,982)	(1,253,325)
საერთო მოგება		615,934	441,744
სხვა შემოსავლები		49,478	170,346
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(500,012)	(473,131)
საოპერაციო მოგება		165,400	138,959
ფინანსური ხარჯი	13	(80,295)	(75,666)
წმინდა შემოსავალი/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		9,022	(2,156)
მოგება დაბეგვრამდე		94,127	61,137
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		94,127	61,137
მთლიანი სრული შემოსავალი		94,127	61,137

დირექტორები:

ეკატერინე გვარიშვილი

ელიდა ხვედელიძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია ლორთქიფანიძე

შპს საგიტარიუსი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის
დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	10	2,078,916	1,695,069
თვითღირებულება	11	(1,462,982)	(1,253,325)
საერთო მოგება		615,934	441,744
სხვა შემოსავლები		49,478	170,346
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(500,012)	(473,131)
საოპერაციო მოგება		165,400	138,959
ფინანსური ხარჯი	13	(80,295)	(75,666)
წმინდა შემოსავალი/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		9,022	(2,156)
მოგება დაბეგვრამდე		94,127	61,137
მოგების გადასახადი		94,127	61,137
წმინდა მოგება		94,127	61,137
მთლიანი სრული შემოსავალი		94,127	61,137

დირექტორები:

ეკატერინე გვარიშვილი

ელიდა ხვედელიძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია ლორთქიფანიძე

ე. გვამიშვილი

ე. ხვედელიძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მომზადებულია პირდაპირი მეთოდით

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 051 549	1 771 545
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(586 345)	(519 401)
თანამშრომლებზე და მოწვეულ სპეციალისტებზე გადახდილი თანხები	(920 315)	(857 355)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(1 136 533)	(203 588)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	408 356	191 201
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(529 692)	(121 865)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(529 692)	(121 865)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
სასესხო ვალდებულებების ზრდა	995 421	90 334
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(717 117)	(77 519)
გადახდილი პროცენტები	(81 295)	(75 879)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	197 009	(63 064)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	75 673	6 272
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(2 235)	(1 940)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	16 623	12 291
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	90 061	16 623

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
მოზადებულია პირდაპირი მეთოდით

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 051 549	1 771 545
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(586 345)	(519 401)
თანამშრომლებზე და მოწვეულ სპეციალისტებზე გადახდილი თანხები	(920 315)	(857 355)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(1 136 533)	(203 588)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	408 356	191 201
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(529 692)	(121 865)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(529 692)	(121 865)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
სასესხო ვალდებულების ზრდა	995 421	90 334
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(717 117)	(77 519)
გადახდილი პროცენტები	(81 295)	(75 879)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	197 009	(63 064)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	75 673	6 272
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(2 235)	(1 940)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	16 623	12 291
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	90 061	16 623



ე. გვამიჭიჭი
ე. ხუფიაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	2000	108,659	110,659
კაპიტალის ზრდა			
კაპიტალის შემცირება			
პერიოდის მოგება		61,142	61,142
გაცემული დივიდენდი			
ნაშთი 31.12.2020	2000	169,801	171,801
კაპიტალის ზრდა			
კაპიტალის შემცირება			
პერიოდის მოგება		94 127	94 127
სხვა		18 567	18 567
ნაშთი 31.12.2021	2 000	282,495	284,495

დირექტორები:

ეკატერინე გვარიშვილი

ელიდა ხვედელიძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია ლორთქიფანიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	2000	108,659	110,659
კაპიტალის ზრდა			
კაპიტალის შემცირება		61,142	61,142
პერიოდის მოგება			
გაცემული დივიდენდი			
ნაშთი 31.12.2020	2000	169,801	171,801
კაპიტალის ზრდა			
კაპიტალის შემცირება		94 127	94 127
პერიოდის მოგება		18 567	18 567
სხვა			
ნაშთი 31.12.2021	2 000	282,495	284,495

დირექტორები:

ეკატერინე გვარიშვილი ე. გვარიშვილი
ელიდა ხვედელიძე ე. ხვედელიძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია ლორთქიფანიძე



შპს საგიტარიუსის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2003 წლის 18 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 245441552. კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ.ბათუმი, ზურაბ გორგილაძის 91 .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურება.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 50% იანი წილის მფლობელი ეკატერინე გვარიშვილი 61001003499, 50%-იანი წილის მფლობელი ელიდა ხვედელიძე 61001015007.

კომპანიის დირექტორია ეკატერინე გვარიშვილი 61001003499, ელიდა ხვედელიძე 61001015007.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 53 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2021 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2021 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;
- და
- ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	20-50
სამედიცინო აპარატურა	3-20
დამხმარე სამედიცინო ხელსაწყოები	3-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (5-10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია . თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან

დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის

მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ფული სალაროში	3,163	1,479
ფული საბანკო ანგარიშებზე	86,898	15,144
სულ ჯამი	90,061	16,623

შენიშვნა 4 - სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	182,097	108,256
სხვა მოთხოვნები	283	300
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	62,481	8,161
სულ ჯამი	244,861	116,717

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

შენიშვნა 5 - მარაგები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სამედიცინო მარაგები	56,861	56,791
სხვა მარაგები	319	319
სულ ჯამი	57,180	57,110

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები	ნაგებობები	სამედიცინო აპარატურა	დამხმარე სამედიცინო ხელსაწყოები	ელექტრო მოწყობილობები	ავთო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა -საოპერაციო	ჯამი
ლარში							
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	88,196	1,448,223	128,020	68,904	101,752	238,813	2,073,908
შესყიდვა	-	337,811	39,634	25,375	13,255		416,075
გასვლა		(134,661)	(2,703)	(31,274)	(9,562)		(178,200)

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	88,196	1,651,373	164,951	63,005	105,446	238,813	2,311,783
---------------------------------	--------	-----------	---------	--------	---------	---------	-----------

დაგროვილი ცვეთა

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	6,746	862,599	91,243	41,277	70,813	29,334	1,102,012
ცვეთის ხარჯი	(1,760)	(103,628)	(11,247)	(4,263)	(11,271)	(9,553)	(141,722)
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		114,543	2,288	18,863	9,332		145,027
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	8,506	851,684	100,201	26,677	72,752	38,886	1,098,707

საბალანსო ღირებულება

2020 წლის ბოლოს	81,450	585,625	36,777	27,627	30,939	209,479	971,896
2021 წლის ბოლოს	79,690	799,689	64,749	36,329	32,694	199,926	1,213,076

	პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივები			
ლარი			
2020 წლის ბოლოს	18,861	-	18,861
შემოსვლა			
გასვლა	2,680		2,680
2021 წლის ბოლოს	16,181		16,181

	სხვა არამატერიალური აქტივები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			
2020 წლის ბოლოს	10,044	-	10,044
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(1,618)		(1,618)
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	2,127		2,127
2021 წლის ბოლოს	9,535		9,535

საბალანსო ღირებულება			
2020 წლის ბოლოს	8,817	-	8,817
2021 წლის ბოლოს	6,645		6,645

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	59,782	82,626
სამედიცინო მომსახურების ვალდებულება	32,719	11,742
საიჯარო ვალდებულებები	62,650	15,330

ვალდებულებები სადაზღვევო
კომპანიების მიმართ

სხვა ვალდებულებები	24,391	16,754
გადასახდელი ხელფასები	81,425	62,655
სულ ჯამი	260,967	189,107

უმადლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალზე (რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა) გაცემული კომპესაციის თანხები ჯამურად შეადგენს : 264,420 ლარს.

მაკონტრებელი მხარისგან ხდება საიჯარო მომსახურების შეძენა საბაზრო პირობებით.

შენიშვნა 9 - სესხები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
გადასახდელი პროცენტები	-	1,024
მოკლევადიანი სესხები	151,404	81,915
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
გრძელვადიანი სესხები	899,044	686,119
სულ ჯამი	1,050,448	769,058

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ ლარში. გრძელვადიანი სესხების დაფარვა კომპანიის მიერ მოხდება 2026 წელს, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ლარში შეადგენს 14.7 %-ს.

შენიშვნა 10 -ამონაგები

ლარი	2021წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	2,077,716
სხვა შემოსავალი	1,200
სულ ჯამი	2,078,916

შენიშვნა 11 -თვითღირებულება

ლარი	2021წლის 31 დეკემბერი
სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება'	(1,462,982)
სულ ჯამი	(1,462,982)

თვითღირებულების კომპონენტები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი
შრომითი ანაზღაურება	(614,570)
მოწვეული სპეციალისტები	(291,659)
კომუნალური ხარჯები	(27,578)

საიჯარო ქირა	(74,550)
სამედიცინო მასალები	(163,329)
ლაბორატორიული კვლევები	(121,980)
ცვეთა და ამორტიზაცია	(146,426)
სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები	(22,890)
სულ ჯამი	(1,462,982)

შენიშვნა 12 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	(302,920)
საიჯარო ქირა	(50,220)
ცვეთა და ამორტიზაცია	(30,641)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(116,231)
სულ ჯამი	(500,012)

შენიშვნა 13 - ფინანსური ხარჯი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	(80,295)
სულ ჯამი	(80,295)

პირობითი ვალდებულება

კომპანია აწარმოებდა სამართლებრივ დავას ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ სააგენტოსთან, კომპანია არ დაეთანხმა მის მიმართ დაკისრებულ ჯარიმის ოდენობას, მაქსიმალური თანხა რისი გადახდის ვალდებულებაც შეიძლება გადაეხადა კომპანიას, მენეჯმენტის შეფასებით, იყო 18 567 ლარი, აღნიშნულ თანხაზე კომპანიას შექმნილი ჰქონდა ანარიცხი; 2021 წელს მენეჯმენტის შეფასებით, პირობითმა ანარიცხმა დაკარგა აქტუალობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 30 აგვისტო.

დირექტორი:
ეკატერინე გვარიშვილი

დირექტორი:
ელიდა ხვედელიძე

საიჯარო ქირა	(74,550)
სამედიცინო მასალები	(163,329)
ლაბორატორიული კვლევები	(121,980)
ცვეთა და ამორტიზაცია	(146,426)
სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები	(22,890)
სულ ჯამი	<u>(1,462,982)</u>

შენიშვნა 12 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	
ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	(302,920)
საიჯარო ქირა	(50,220)
ცვეთა და ამორტიზაცია	(30,641)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(116,231)
სულ ჯამი	<u>(500,012)</u>

შენიშვნა 13 - ფინანსური ხარჯი	
ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	(80,295)
სულ ჯამი	<u>(80,295)</u>

პირობითი ვალდებულება
კომპანია აწარმოებდა სამართლებრივ დავას ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ სააგენტოსთან, კომპანია არ დაეთანხმა მის მიმართ დაკისრებულ ჯარიმის ოდენობას, მაქსიმალური თანხა რისი გადახდის ვალდებულებაც შეიძლება გადაეხადა კომპანიას, მენეჯმენტის შეფასებით, იყო 18 567 ლარი, აღნიშნულ თანხაზე კომპანიას შექმნილი ჰქონდა ანარიცხი; 2021 წელს მენეჯმენტის შეფასებით, პირობითმა ანარიცხმა დაკარგა აქტუალობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 30 აგვისტო.

დირექტორი:

ეკატერინე გვარიშვილი

ე. გვარიშვილი

დირექტორი:

ელიდა ხვედელიძე

ე. ხვედელიძე

